

**შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
გემოვანი**

ფინანსური ანგარიშგება

საანგარიშო წლისათვის, რომელიც დასრულდა

2020 წლის 31 დეკემბერს

სარჩევი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....	3
სრული შემოსავლების ანგარიშგება	4
საადრიცხო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	5
ზოგადი ინფორმაცია	5
ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი	6
საადრიცხო პოლიტიკა	6
2.1. ამონაგების აღიარება.....	6
2.2. ფინანსური ინსტრუმენტები გაცემული სესხები	7
2.3.ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯები	8
2.4.ძირითადი საშუალებები	8
2.5. არამატერიალური აქტივები	9
2.6 დაქირავებულ პირთა მოკლევადიანი გასამრჯელოები	9
2.7. ოპერაციები უცხოურ ვალუტაში	9
3.ძირითადი დაშვებები და განუსაზღვრელობის შესაფასებლად გამოყენებული ძირითადი წყაროები	10
4. შემოსავალი რეალიზაციიდან	10
5. ადმინისტრაციული და სხვა ხარჯები	10
6. დასაქმებულ პირთა გასამრჯელო.....	11
7.ძირითადი საშუალება.....	11
8. არამატერიალური აქტივები	12
9. სხვა მიმდინარე აქტივები	12
10. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ექვივალენტი.....	13
11. საწესდებო კაპიტალი	13
12. სხვა ვალდებულებები	13
13. მსს ფასს -ზე გადასვლა.....	14
14. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება	14

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

		31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	10	780,763	671,742	556,908
არამატერიალური აქტივები	11	147,306	147,306	138,608
სულ გრძელვადიანი აქტივები		928,069	819,048	695,516
მიმდინარე აქტივები				
სხვა მიმდინარე აქტივები	12	72,263	70,665	77,485
გადახდილი ავანსები	13	10,379	4,043	23,933
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	14	277,521	272,029	110,140
ფულადი სახსრები და ექვივალენტები	15	124,630	2,992	136,040
სულ მიმდინარე აქტივები		484,793	349,729	347,597
სულ აქტივები:		1,412,861	1,168,777	1,043,113
საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები				
საკუთარი კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი	16	1,326,278	119,579	90,029
გაუნაწილებელი მოგება_ზარალი	17	(626,405)	(316,687)	(96,491)
სულ საკუთარი კაპიტალი		699,873	(197,108)	(6,462)
გრძელვადიანი ვალდებულებები				
სასესხო ვალდებულება	18	530,911	1,209,496	1,006,572
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		530,911	1,209,496	1,006,572
მოკლევადიანი ვალდებულებები				
სავაჭრო ვალდებულებები	19	50,326	46,308	-
საგადასახადო ვალდებულებები	20			14,135
ვალდებულებები პერსონალის წინაშე	21	5,829	7,653	-
სხვა ვალდებულებები	22	125,922	102,428	28,869
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		182,077	156,389	43,004
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		1,412,861	1,168,777	1,043,113

ფინ დირექტორი:



სრული შემოსავლების ანგარიშგება

		2020	2019
განგრძობითი ოპერაციები			
შემოსავალი რეალიზაციიდან	5	1,646,227	1,543,362
რეალიზებული პროდუქციის ღირებულება	6	(879,369)	(867,127)
წმინდა შემოსავალი რეალიზაციიდან:		766,858	676,235
სხვა შემოსავლები	7	232	2,046
დასაქმებულ პირთა გასამრჯელოები	8	(572,969)	(523,320)
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯი	9	(1,062)	(10,001)
საპროცენტო ხარჯი	10	(28,641)	(123,775)
იჯარის ხარჯი	11	(35,169)	(24,435)
ადმინისტრაციული და სხვა ხარჯები	12	(280,501)	(216,946)
საოპერაციო მოგება		(151,253)	(220,195)
არასაოპერაციო შემოსავალი / ხარჯი	13		
მოგება დაბეგვრამდე		(151,253)	(220,195)
საგადასახადო ხარჯი		-	-
საანგარიშო წლის წმინდა მოგება და სრული შემოსავალი		(151,253)	(220,195)
		(151,253)	(220,195)

ფინ. დირექტორი:



სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ზოგადი ინფორმაცია

შპს გემოვანი შეზღუდული პასუხისმგებლობის საწარმოა, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოში სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო მიერ. საწარმოს იურიდიული მისამართი არის საქართველო, ქ.თბილისი, კრაწნისის რაიონი, #22-24 ბ. 24. საწარმოს ფაქტობრივი საქმიანობის ძირითადი ადგილი არის საქართველო, ქ.თბილისი, ვარკეთილი მე-3 მკრ, მეოთხე კვარტალი.

საწარმო წილის მმართველები 2020 წლის 31 დეკემბერის მდგომარეობით იყვნენ:

- ოთარ ნაჭყებია-30%;
- ირაკლი ჩავლეიშვილი 30%;
- შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება გემოვანი სინერჯი 40%;

საწარმოს ძირითადი საქმიანობაა: ტრადიციული მეთოდის დახმარებით, ქართული ხორბლის ჯიშებით და მხოლოდ ბუნებრივი ინგრედიენტებით პურის სხვადასხვა სახეობის წარმოება. სარეალიზაციო არეალს წარმოადგენს ქ.თბილისი და მისი შემოგარენი.

საბოლოო პროდუქტი გადამუშავებისა და წარმოების არცერთ ეტაპზე ქიმიურ დანამატებს არ შეიცავს. მართალია, მისი წარმოებისას უძველესი ტრადიციები გამოიყენება, თუმცა მის გამორჩეულ გემოს, ძველ მეთოდებთან ერთად, თანამედროვე ტექნოლოგიებიც განაპირობებს. მზეთამზე ყველა სხვა პურისგან იმით გამოირჩევა, რომ ის ერთადერთი ინდუსტრიული და ბაზარზე ფართოდ გავრცელებული პროდუქტია, რომელიც პურის დედაზე მზადდება. პურის დედა ბუნებრივი საფუარია — ესაა ბაქტერია, რომელიც ფქვილის და წყლის შერევით და გარკვეული მოვლის წესით წარმოიქმნება და მასში ჭარბად გვხვდება ვიტამინები. ის საჭმლის მონელების პროცესს უწყობს ხელს და ორგანიზმს საჭირო ნივთიერებებით ამდიდრებს, რაც, თავის მხრივ, იმუნიტეტს აძლიერებს და დაავადებების დამარცხებაში გვეხმარება.

საწარმო ფულადი სახსრებს გამოიმუშავებს და ხარჯავს საქართველოში, რომელიც წარმოადგენს მის ძირითადი ეკონომიკურ გარემოს. შესაბამისად, საწარმოს სამუშაო ვალუტა და ფინანსური ანგარიშგების წარსადგენი ვალუტაა ქართული ლარი. ფინანსური ანგარიშგება არის ერთი საწარმოს ანგარიშგება 2020 წლის პირველი იანვრით დაწყებული და 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო პერიოდისათვის. ფინანსური ანგარიშგების თანხები დამრგვალებულია ერთეულამდე სიზუსტით.

ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბუთის მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად.

საწარმომ პირველად გამოიყენა მსს ფასს-ი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად. შესაბამისად ეს ფინანსური ანგარიშგება არის მსს ფასს-ის შესაბამისი პირველი ფინანსური ანგარიშგება.

ფინანსური ანგარიშგების სრულ პაკეტში წარმოდგენილი წინა შესადარისი პერიოდის შესადარისი ინფორმაციის გათვალისწინებით მსს ფასს-ზე გადასვლის თარიღია 2018 წლის პირველი იანვარი.

სააღრიცხვო პოლიტიკა

2.1. ამონაგების აღიარება

ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. იგი მოიცავს გაცემულ ყველანაირ სავაჭრო ფასდათმობას, ასევე ვადაზე ადრე გადახდის და პარტიის მოცულობაზე დამოკიდებულ ფასდათმობებს. ამონაგებში ჩართულია მხოლოდ საკუთარი სახელით მიღებული ან მისაღები ეკონომიკური სარგებლის მთლიანი თანხა.

საწარმოს შემოსავლის წყაროს წარმოადგენს ძირითადი პროდუქტის, პურის ნაირსახეობის საბითუმო და საცალო რეალიზაციიდან ამონაგები, ასევე სახარჯი მასალის და უკანდაბრუნებული პურის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი.

ფულადი სახსრების ან ფულადი სახსრების ეკვივალენტების შემოსავლის გადავადების შემთხვევაში, თუ შეთანხმება, თავისი არსით, ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს, ამონაგების აღიარება ხდება მომავალში მისაღები ყველა თანხის დღევანდელი ღირებულებით, რომელიც გამოითვლება პირობითი საპროცენტო განაკვეთის საფუძველზე.

მომსახურების გაწევის ამონაგები აღიარდება ყოველთვიურად, ფაქტიურად რეალიზებული პროდუქციის შესაბამისად. სხვა შემთხვევაში ამონაგები აღიარდება მხოლოდ უკვე აღიარებული ანაზღაურებადი ხარჯების ოდენობის ფარგლებში.

2.2. ფინანსური ინსტრუმენტები გაცემული სესხები

გაცემულ მოკლევადიან სესხთან დაკავშირებით წარმოქმნილი მოთხოვნა აღიარდება მისაღები ფულადი სახსრების (მათ შორის, გადასახდელი ძირი თანხისა და პროცენტების) დღევანდელი ღირებულებით და საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით, გაუფასურების (თანხის ამოღების შეუძლებლობა) გათვალისწინებით.

გაცემულ მოკლევადიან სესხთან დაკავშირებით წარმოქმნილი მოთხოვნა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ფასდება მისაღები ფულადი სახსრების ან სხვა სახის კომპენსაციის არადისკონტირებული ღირებულებით გაუფასურების გამოკლებით, თუ შეთანხმება შინაარსით ფინანსურ ოპერაციას არ წარმოადგენს.

დაკავშირებული მხარესათვის უპროცენტოდ ან საბაზრო განაკვეთზე დაბალი საპროცენტო განაკვეთით სესხის მიცემიდან წარმოქმნილი მოთხოვნა აღიარდება მომავალი გადასახდელების დღევანდელი ღირებულებით, რომელიც დისკონტირდება მსგავსი სავალო ინსტრუმენტისთვის გამოყენებული საბაზრო საპროცენტო განაკვეთით და საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით, გაუფასურების (თანხის ამოღების შეუძლებლობა) გათვალისწინებით.

სავაჭრო მოთხოვნები

მომხმარებელზე მოკლევადიანი საკრედიტო პირობებით საქონლის/მომსახურების მიყიდვიდან წარმოქმნილი მოთხოვნა აღიარდება ამ პირისგან მისაღები ფულადი სახსრების არადისკონტირებული ღირებულებით, გაუფასურების (თანხის ამოღების შეუძლებლობა) გათვალისწინებით.

სასესხო ვალდებულებები

მიღებული გრძელვადიანი სესხი ვალდებულების სახით აღიარდება გადასახდელი ფულადი სახსრების (მათ შორის, გადასახდელი ძირი თანხისა და პროცენტების) დღევანდელი ღირებულებით და საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

მიღებულ მოკლევადიან სესხთან დაკავშირებით წარმოქმნილი ვალდებულება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ფასდება გადასახდელი ფულადი სახსრების ან სხვა სახის კომპენსაციის არადისკონტირებული ღირებულებით, თუ შეთანხმება შინაარსით ფინანსურ ოპერაციას არ წარმოადგენს.

დაკავშირებული მხარისაგან უპროცენტოდ ან საბაზრო განაკვეთზე დაბალი საპროცენტო განაკვეთით სესხის მიღებიდან წარმოქმნილი ვალდებულება აღიარდება მომავალი გადასახდელების დღევანდელი ღირებულებით, რომელიც დისკონტირდება მსგავსი სავალო ინსტრუმენტისთვის გამოყენებული საბაზრო საპროცენტო განაკვეთით და საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

სავაჭრო ვალდებულებები

მომწოდებლისგან მოკლევადიანი საკრედიტო პირობებით საქონლის/(მომსახურების) შეძენიდან წარმოშობილი ვალდებულება აღიარდება მომწოდებლისთვის გადასახდელი დავალიანების არადისკონტირებული ღირებულებით.

უცხოურ ვალუტაში გამოსახულ მიწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულების ნებისმიერი ცვლილება, რომელიც გამოწვეულია სავალუტო კურსის ცვლილებით, აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ფინანსური აქტივის გაუფასურების ზარალის შეფასება

ფინანსური აქტივებისთვის, რომელიც შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით გაუფასურების ზარალი არის სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და შეფასებული მომავალი ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებას შორის, რომელიც დისკონტირებულია აქტივის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით. როდესაც ფინანსურ აქტივს გააჩნია ცვალებადი საპროცენტო განაკვეთი, დისკონტირების განაკვეთი გაუფასურების ზარალის შეფასებისთვის გამოიყენება ხელშეკრულების მიხედვით განსაზღვრული მიმდინარე ეფექტური საპროცენტო განაკვეთი.

ფინანსური აქტივისთვის, რომელიც შეფასებულია თვითღირებულებიდან გაუფასურების ზარალის გამოკლების შედეგად მიღებული თანხით, გაუფასურების ზარალი არის სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და იმ თანხის საუკეთესო შეფასებას (რომელიც აუცილებლად იქნება მიახლოებითი სიდიდე) შორის, რომელსაც საწარმო მიიღებდა მიმდინარე საანგარიშგებო პერიოდში აქტივის გაყიდვის შემთხვევაში.

2.3.ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯები

ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული ყველანაირი დანახარჯი აღიარდება როგორც ხარჯი იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც ეს დანახარჯები იყო გაწეული.

2.4.ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების შეფასება ხდება მისი თვითღირებულებიდან დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლების შედეგად მიღებული თანხით.

აქტივების ნარჩენი ღირებულებით შემცირებული თვითღირებულების მისი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე განაწილების მიზნით, ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდის გამოყენებით.

2.5. არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივის შეფასება ხდება თვითღირებულებით, დაგროვილი ამორტიზაციისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით.

2.6 დაქირავებულ პირთა მოკლევადიანი გასამრჯელოები

დაქირავებულ პირთა ყველა სახის მოკლევადიან გასამრჯელოსთან დაკავშირებული დანახარჯი, რომლის მიღების უფლებაც დაქირავებულმა პირებმა მოიპოვეს საანგარიშგებო პერიოდში გაწეული მომსახურების სანაცვლოდ, აღიარდება როგორც ვალდებულება და როგორც ხარჯი (გარდა იმ დანახარჯისა, რომელიც აღიარდება მარაგის, ძირითადი საშუალებების ან სხვა აქტივის თვითღირებულებაში).

საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში, საწარმოს მიერ მოკლევადიანი გასამრჯელოს სახით აღიარებული თანხები ფასდება დაქირავებული პირის იმ მოკლევადიანი გასამრჯელოების არადისკონტირებული სიდიდით, რომელიც გადასახდელია დაქირავებულის მიერ გაწეული ზემოაღნიშნული მომსახურების სანაცვლოდ.

დაგროვებადი ანაზღაურებადი შვებულებების მოსალოდნელი ღირებულება ფასდება, როგორც არადისკონტირებული დამატებითი თანხა, რომლის გადახდასაც საწარმო ვარაუდობს იმ გამოუყენებელი უფლებისათვის, რომელიც დაგროვდა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის.

2.7. ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

უცხოური ვალუტით წარმოებული ოპერაციები თავდაპირველი აღიარებისას აისახება სამუშაო ვალუტით, რისთვისაც უცხოურ ვალუტაში გამოსახული თანხის მიმართ გამოიყენება უცხოური ვალუტის სამუშაო ვალუტაზე გასაცვლელი სპოტ სავალუტო კურსი, ოპერაციის თარიღისათვის.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, უცხოური ვალუტით შეფასებული ფულადი მუხლები ფასდება საბოლოო სავალუტო კურსის გამოყენებით.

საკურსო სხვაობები, რომლებიც წარმოიშობა ფულადი მუხლების საბოლოო ანგარიშსწორების ან ფულადი მუხლების გადაყვანის დროს ისეთი სავალუტო კურსით, რომელიც განსხვავდება მოცემულ პერიოდში ან წინა პერიოდების ფინანსურ ანგარიშგებაში თავდაპირველი აღიარების დროს გადასაყვანად გამოყენებული სავალუტო კურსისაგან, აღიარდება მოგებაში ან ზარალში იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც წარმოიშობა.

3. ძირითადი დაშვებები და განუსაზღვრელობის შესაფასებლად გამოყენებული ძირითადი წყაროები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისთვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს კომპანიის ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

კომპანია ახდენს შეფასებებისა და დაშვებების გადახედვას საწარმოს უწყვეტობის საფუძველზე. სააღრიცხვო შეფასების გადასინჯვის შედეგები აღიარდება იმ პერიოდში, როდესაც შეფასება იქნა გადახედილი, თუ აღნიშნული ეხება მხოლოდ ამ პერიოდს; ან გადასინჯვისა და მომავალ პერიოდებში, თუ გადახედვა ეხება ორივე, მიმდინარე და მომავალ პერიოდებს.

ყველაზე მნიშვნელოვანი არეები, რომლებიც მენეჯმენტისგან მოითხოვს შეფასებებსა და დაშვებებს დაკავშირებულია ძირითადი საშუალებების ცვეთის განაკვეთებთან, საგარანტიო ანარიცხებთან და აქტივების გაუფასურებასთან.

4. შემოსავალი რეალიზაციიდან

			2020	2019
1	ქსელური რეალიზაციიდან მიღებული თანხა	5	1,588,485	1,488,463
2	საცალო რეალიზაციიდან მიღებული თანხა		57,742	54,899
	ჯამი		1,646,227	1,543,362

5. ადმინისტრაციული და სხვა ხარჯები

			2020	2019
1	სარეკლამო, მარკეტინგული ხარჯი	12	130,857	102,643
2	ადმინისტრაციული, სამეურნეო ხარჯი	12	83,501	68,354
3	ქარხნის და ტექნიკების მიმდ კაპიტალური რემონტის ხარჯი	12	66,143	45,949
	ჯამი		280,501	216,946

6. დასაქმებულ პირთა გასამრჯელო

			2020	2019
1	წარმოების სტაფის ხელფასი	8	131,448	137,056
2	ადმინისტრაციული სტაფის ხელფასი	8	441,521	386,263
	ჯამი		572,969	523,320

7. ძირითადი საშუალება

	ოფისის აღჭურვილობა	ავეჯი და სხვა ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალება	მანქანა- დანადგარები (საცხოზის)	სულ
თვითღირებულება					
1 იანვარი 2020 წ.	82,798	389,814	134,382	90,585	697,578
შემოსვლა	1,177	7,712	-	101,194	110,083
გასვლა					-
31 დეკემბერი 2020 წ.	83,975	397,525	134,382	191,778	807,660
დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება					
1 იანვარი 2020 წ.	20,669	2,584	1,292	1,292	25,836
წლიური ცვეთა	849	106	53	53	1,062
გაუფასურება					-
გასული აქტივების დაგროვილი ცვეთა					-
31 დეკემბერი 2020 წ.	21,518	2,690	1,345	1,345	26,898
საბალანსო ღირებულება					-
31 დეკემბერი 2020 წ.	62,456	394,836	133,037	190,434	780,763

ძირითადი საშუალების პირვანდელი ღირებულება არის აქტივის შესაძენად მისი შეძენის მომენტში გადახდილი (გადასახდელი) ფულადი სახსრების ან ფულადი სახსრების ეკვივალენტების ოდენობა, ან გაცემული კომპენსაციის რეალური ღირებულება. პირვანდელი

ღირებულების შეფასებაში მონაწილეობს ქვემოთ ჩამოთვლილი ყველა ელემენტი:

- (ა) მისი ნასყიდობის ფასი, მათ შორის, იურიდიული და საბროკერო მომსახურების ღირებულება, საიმპორტო საბაჟო გადასახადები და შესყიდვის დაუბრუნებადი გადასახადები, ყოველგვარი სავაჭრო ფასდათმობებისა და შეღავათების გარეშე;
- (ბ) ნებისმიერი დანახარჯი, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანასა და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან;
- (გ) აქტივის დემონტაჟის, ლიკვიდაციისა და ადგილმდებარეობის აღდგენის დანახარჯების თავდაპირველი შეფასება, რისი ვალ-დებულებაც საწარმომ აიღო შეძენის მომენტში, ან შემდეგში.

ვინაიდან მოსალოდნელია, რომ მანქანა-დანადგარის გაყიდვის შედეგად მიღებული შემოსულობა გადააჭარბებს აქტივისა და მასთან დაკავშირებული ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებას, არ მომხდარა გაუფასურების ზარალის აღიარება.

8. არამატერიალური აქტივები

	პროგრამული უზრუნველყოფა	სხვა(ბრენდინგი)	სულ
თვითღირებულება			
1 იანვარი 2020 წ.	18,780	128,526	147,306
შემოსვლა			-
გასვლა			-
31 დეკემბერი 2020 წ.	18,780	128,526	147,306
დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება			
1 იანვარი 2020 წ.			-
წლიური ცვეთა			-
გაუფასურება			-
გასული აქტივების დაგროვილი ცვეთა			-
31 დეკემბერი 2020წ.	-	-	-
საბალანსო ღირებულება			
31 დეკემბერი 2020 წ.	18,780	128,526	147,306

9. სხვა მიმდინარე აქტივები

	სხვა მიმდინარე აქტივები		2020	2019
1	მარაგები	12	72,263	70,665
	ჯამი		72,263	70,665

10. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ექვივალენტი

			2020	2019
1	ფულადი სახსრები სალაროში	15	5,131	2,031
2	ფულადი სახსრები ბანკის მიმდინარე ანგარიშებზე	15	119,499	961
3	ფულადი სახსრები დეპოზიტზე/ანაბარზე	15	-	-
	ჯამი		124,630	2,992

11. საწესდებო კაპიტალი

დაფუძნებისას კომპანიის საწესდებო კაპიტალი შეადგენდა 119'579 ლარს. 2020 წელს მფლობელთა გადაწყვეტილებით საწესდებო კაპიტალი გაიზარდა 1'206'699 ლარით და შეადგინა 1'326'278 ლარი.

	საწესდებო	გაუნაწილებელი	სულ კაპიტალი
	კაპიტალი	მოგება	
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	90,029	-96,491	-6,462
კაპიტალის შემოტანა	29,550		29,550
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	0	-220,195	-220,195
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	119,579	-316,687	-197,108
კაპიტალის შემოტანა	1,206,699	-	1,206,699
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	-	(309,719)	(309,719)
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	1,326,278	-626,405	699,873

12. სხვა ვალდებულებები

			2020	2019
1	ადმ.კრედიტორები	22	27,189	15,626
2	მარკეტინგული ხარჯი	22	90,743	72,254
3	საცხოვრის კეთილმოწყობის ხარჯი	22	6,536	3,187
	შემ. აქტივის კრედიტორული დავალიანება		1,456	11,361
	ჯამი		125,922	102,428

13. მსს ფასს -ზე გადასვლა

სააღრიცხვო პოლიტიკა, რომლის საფუძველზეც მომზადდა წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება გამოყენებულია მსს ფასს სტანდარტზე გადასვლის თარიღიდან. საწარმოს წინა პერიოდებში საერთოდ არ წარუდგენია ფინანსური ანგარიშგება. შესაბამისად, მსს ფასს სტანდარტზე გადასვლის თარიღამდე არსებული ოპერაციების, მოვლენებისა და გარემოებების შედეგად არ წარმოქმნილა კორექტირებების აუცილებლობა.

14. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

ხელმძღვანელობამ ფინანსური ანგარიშგება დაამტკიცა და მისი გამოცემის ნებართვა გასცა 2021 წლის 30 დეკემბერს.